საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

09/12/2025

MES 4 25 0001755888

გადაწყვეტილება
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 22 მაისის №564116 ბრძანების საფუძველზე, (ცვლილება ბრძანებაში: №978252; 13/08/2025) განხორციელდა დაწესებულების ,,სტომატოლოგიის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგა ნმანათლებლო პროგრამის შეფასება.
2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:
1.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში.
3.1. კომპონენტში გაცემული ორივე რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში. შესაბამისად, მესამე სტანდარტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", შეფასდა, როგორც "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".
4.4. კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში. შესაბამისად, 4.4 კომპონენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", შეფასდა, როგორც "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "სტომატოლოგიის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 31/12/2027-მდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,სტომატოლოგიის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 09 დეკემბრის სხდომის №1753660 ოქმის № 03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- 1.2. რეკომენდებულია, ერთმანეთს დაუკავშირდეს სწავლებისა და შეფასების მეთოდები – თითოეული შედეგისათვის მიეთითოს სწავლების ძირითადი მეთოდი (მაგალითად, CBCR, PBL, TBL) და შეფასების ინსტრუმენტი (მაგალითად, OSCE, WPBA, DOPS) სტომატოლოგიის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად.

- 1.2. რეკომენდებულია, დაემატოს ინტერპროფესიული თანამშრომლობის განმსაზღვრელი შედეგები - განისაზღვროს კონკრეტული კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია მრავალპროფილურ ჯანდაცვის გუნდში ეფექტური მუშაობისთვის.
- 1.5. რეკომენდებულია, მკაფიოდ განისაზღვროს სტუდენტების მიერ პაციენტებზე შესასრულებელი კლინიკური/სტომატოლოგიური პროცედურების (მანიპულაციების) აუცილებელი რაოდენობა, რადგან რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში ეს რაოდენობა ნათლად არ არის მითითებული, რაც ინტერვიუების დროსაც დადასტურდა. კომპეტენციის მიღწევის სათანადოდ უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია, თითოეული საგნისთვის ზუსტად განისაზღვროს პროცედურების მინიმალური რაოდენობა.
- 2.4. რეკომენდებულია, ინტეგრირებული კურსის სილაბუსებში „მოდული – კლინიკური როტაციის ციკლი“ შევიდეს მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც სტუდენტმა საბოლოო გამოცდაზე დასაშვებად უნდა მიაღწიოს კომპეტენციის მინიმალურ დონეს მოდულის ყველა საგნობრივ მიმართულებაში.
- 2.4. რეკომენდებულია, კლინიკური ოდონტოლოგიის კურსის სილაბუსებში საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობად მიეთითოს პაციენტებზე შესასრულებელი პროცედურების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა, რომელიც სტუდენტმა უნდა განახორციელოს პედაგოგების/სტომატოლოგების ზედამხედველობის ქვეშ.
- 4.3. რეკომენდებულია, პერსონალის ინფორმირებულობა პერსონალის შეფასების პროცესისა და მექანიზმების, ასევე პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.
- 4.3. რეკომენდებულია, უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და მათი სამეცნიერო პროდუქტიულობის ზრდა. რეკომენდებულია დარგის მიხედვით უფრო დეტალური შეფასება და მიზნობრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

რჩევები:

1.3. სასურველია, უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობა როგორც სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენაში, ასევე მათი დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში და უზრუნველყოფილ იყოს, პერსონალის სრული ინფორმირებულობა.

3.1. სასურველია, უნივერსიტეტმა გაზარდოს სტუდენტური გაცვლითი პროგრამებისა და ერთობლივი ინიციატივების სიხშირე და მასშტაბი. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა პარტნიორ ინსტიტუციებთან ახალი თანამშრომლობითი პროექტების შემუშავება, აღნიშნული შესაძლებლობების აქტიური პოპულარიზაცია და განაცხადის პროცედურების მაქსიმალურად გამარტივება.

3.1. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა კვლევით საქმიანობაში: რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტებისთვის კვლევით პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობები, რაც ამჟამად შეზღუდულია. ეს გააუმჯობესებს სტუდენტების აკადემიურს მოსწრებას, გაამლიერებს კრიტიკული აზროვნების უნარს და ხელს შეუწყობს მათ მზადყოფნას სამაგისტრო/სადოქტორო განათლებისთვის, ასევე ინოვაციური მიდგომების დანერგვა პროფესიულ საქმიანობაში.

4.4. სასურველია, ბიბლიოთეკამ უზრუნველყოს სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებით მომარაგება, ბეჭდური ფორმატით, მინიმუმ ერთი ეგზემპლარით.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 09 დეკემბრიდან.

6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 09 დეკემბრამდე.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ნანობაშვილი ქეთევან



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან